საქართველოს
ფოლკლორის
სახელმწიფო
ცენტრი

## 2018 წლის I კვარტლის ანგარიში

❖ 16 იანვარს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიხსნა გოგი ქვრივიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 100-მდე ექსპონატი, როგორც ფერწერაში ასევე ორიგინალურ ჟანრში შესრულებული ნამუშევრები. გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 250-მდე ადამიანმა.

❖ 24 იანვარს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიხსნა მიმო მონდალის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. გამოიფინა მხატვრის 60- მდე აკვარელში შესრულებული ნამუშევრები და ფერწერა. გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 200-მდე ადამიანმა.

1❖ოებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიხსნა გამოფენა „ხელნი ესე ჩემნი მსახურებდნენ უფალსა“. გამოფენაზე წარმოდგენილია დედა თამარისა და მისი მოსწავლეების, ოქრომკედით შესრულებული საეკლესიო და საერო 80-მდე ნაქარგი. გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 280-მდე ადამიანმა.

❖ 9 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიხსნა გოჩა ზირაქიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. გამოიფინა მხატვრის ორასამდე ექსპონატი - ფერწერა, გრაფიკა.  გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 250-მდე ადამიანმა.

❖ 10 თებერვალს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ტრისტან სიხარულიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და კონცერტი.

კონცერტში მონაწილეობდნენ: სიხარულიძეების საოჯახო ანსამბლი, ,,შვიდკაცა" (ოზურგეთი), ,,რუსთავი", ,,ერისიონი", ,,ბასიანი", ,,შილდა". საღამოს ორგანიზატორები: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ფონდი ,,ქართული გალობა", საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. საღამოს ესწრებოდა დაახლოებით 400-მდე მსმენელი

❖ 14 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა წიგნის - „ისტორიის რეპრეზენტაციის ეთნოლოგიური ასპექტები“ - პრეზენტაცია.
პრეზენტაციაში მონაწილეობდა ფოლკლორული ანსამბლები - „მზეთამზე“ და „ნანინა“. წარდგინებას ესწრებოდა დაახლოებით 70-მდე ადამიანი.

❖ 23 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საზოგადოებრივი კოლეჯის - „მერმისის“ - სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. გამოიფინა გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების (ხის მხატვრული დამუშავება, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილები, თექა, ფეხსაცმლის და ტყავის აქსესუარები, სამკერვალო ნაწარმი) 200-მდე ექსპონატი. გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 250-მდე ადამიანმა.

❖ 5 მარტს  სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხალხური მომღერლის, საგუნდო დირიჟორისა და ხალხური სიმღერების ცნობილი შემკრების - ანზორ ერქომაიშვილის ხელშეწყობით, ლეგენდარული ლოტბარის ძუკუ ლოლუას სახელობის აფხაზური ფოლკლორის შემსწავლელი კაბინეტი გაიხსნა. კაბინეტის გახსნასთან ერთად, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

❖16 მარტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა მარინა ჯაფარიძის, დეა-მარია ხორუნჟინისა და სახელოსნო ,,მებიუსის" ბენეფიციართა გამოფენა. გამოიფინა ასამდე ნამუშევარი: თეთრეული, ჩანთები, ფარდები, დეკორატიული ბალიშები და საყელოები, შარფები, წინსაფრები. გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 200-მდე ადამიანმა.

❖ 19 მარტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის ფოლკლორულ ანსამბლ „მოყვარეს“ პირველი აუდიოალბომის პრეზენტაცია. გამოცემა ეძღვნება ქართული ფოლკლორის მოამაგეს, ანსამბლის უხუცეს წევრსა და ლოტბარს, თურმანიძეთა მომღერალი გვარის ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებელსა და დიდი ოჯახის უფროსს - ამირან თურმანიძეს. წარდგინებაზე ანსამბლმა „მოყვარემ“ რამდენიმე სიმღერა შეასრულა

• მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე -„ქართული საეკლესიო  გალობის ანთოლოგია“.

• მიმდინარეობს მუშაობა ქართული ფოლკლორის ღვაწლმოსილი მკვლევრის, შალვა ასლანიშვილის ხელნაწერ შრომას ,,ზემო და მთის რაჭის ხალხური სიმღერები" (1950წ.), რომელიც ცენტრის არქივშია დაცული (ნაშრომში განხილულია 1949 წელს ზემო რაჭაში მეცნიერის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ექსპედიციაში მოპოვებული მასალები. შრომას ახლავს 11 სიმღერის სანოტო ჩანაწერიც).

• მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ.გვერდის www.folk.gov.ge შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.

• მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.

❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის  არქივისშესავსებად.